

ანოტაცია
ინგლისური ფილოლოგია

ინგლისური ენა 1

English 1

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი დაეუფლება ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით სულ მცირე B2 (+) დონის შესაბამის ცოდნას (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივი საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) და ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა) ამ დონის შესაბამისად; ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას;

ინგლისური ენა 2

English 2

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეიძენს მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით სულ მცირე B2 (+) დონის შესაბამის ენობრივ კომპეტენციას (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) და ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა) ამ დონის შესაბამისად; ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისათვის;

ინგლისური ენა 3

English 3

კურსის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გადატანილია საკომუნიკაციო მიზნით გრამატიკულ სტრუქტურათა სწორ ხმარებაზე. საფუძვლად აღებულია თანამედროვე სტანდარტული ბრიტანული ინგლისური, თუმცა, ხშირ შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება განსხვავებული ამერიკულ და ბრიტანულ ვარიანტებს შორის, აგრეთვე სტილისტური ვარიაციებიც.

ინგლისური ენა 4

English 4

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები ფლობენ მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით სულ მცირე B2 (+)დონის შესაბამის ცოდნა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას;

ინგლისური ენა 5

English 5

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით სულ მცირე B2 (+)დონის შესაბამისი ცოდნის დაუფლება (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას;

ინგლისური ენა 6

English 6

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით სულ მცირე B2 (+)დონის შესაბამის ცოდნას (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/ გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას;

დასავლეთევროპული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები

Main Tendencies of West European Literature

კურსის ფარგლებში შეისწავლება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მდიდარი, მრავალფეროვანი, სხვადასხვა სტილის, სკოლისა და მიმიდინარეობის შემცველი ლიტერატურა.

ინგლისური ლიტერატურის ისტორია (მოკლე კურსი /ინგლისურ ენაზე/)

A Short Course of English Literature (In English)

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ინგლისური ლიტერატურის მოკლე კურსის შესწავლა ინგლისურ ენაზე. უმნიშვნელოვანესი ავტორების ნაწარმოებთა ანალიზი ინგლისურ ენაზე სტუდენტს განუმტკიცებს მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინგლისურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარ-ჩვევებს. სემინარებზე დისკუსია და პრეზენტაცია კი საკუთარი აზრის ინგლისურ ენაზე არგუმენტირებისა და საჯაროდ წარმოდგენის უნარ-ჩვევებს განუვითარებს.

ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1

English Literature 1

კურსი ითვალისწინებს შუსაუკუნეებისა და აღორძინების პერიოდის ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და ავტორების შესწავლას, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს მხატვრული ტექსტის კითხვის, ანალიზისა და ინგლისურ ენაზე ლიტერატურის დამუშავების უნარ-ჩვევებს. სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობა და პრეზენტაციის გაკეთება კი საკუთარი აზრის არგუმენტირების და საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარ-ჩვევებს განუვითარებს.

ინგლისური ლიტერატურის ისტორია 2

English Literature 2

საღეჭი კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია კურსის ინგლისური ლიტერატურის გარკვეული მონაკვეთის ძირითადი მიმართულებების, კერძოდ, კლასიციზმისა და განმანათლებლობის ძირითადი ავტორების შემოქმედების შესწავლა. სტუდენტები შეისწავლიან ამ პერიოდის ავტორთა უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს. ამრიგად, კურსი მიზნად ისახავს: კლასიციზმისა და განმანათლებლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ნაწარმოებთა შესწავლას. ინგლისურ ენაზე მხატვრული ლიტერატურის და სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისა ჩვევის გამომუშავებას.

ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3

English Literature 3

კურსი ითვალისწინებს მე-19 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ძირითადი მიმართულებებისა და ავტორების შესწავლას, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს მხატვრული ტექსტის კითხვის, ანალიზისა და ინგლისურ ენაზე ლიტერატურის დამუშავების უნარ-ჩვევებს. სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობა და პრეზენტაციის გაკეთება კი საკუთარი აზრის არგუმენტირების და საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარ-ჩვევებს განუვითარებს.

ინგლისური ლიტერატურის ისტორია 4

English Literature 4

საღეჭი კურსი გულისხმობს XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და ავტორების შესწავლას, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს მხატვრული ტექსტის კითხვის, ანალიზისა და ინგლისურ ენაზე ლიტერატურის დამუშავების უნარ-ჩვევებს. სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობა და პრეზენტაციის გაკეთება კი საკუთარი აზრის

არგუმენტების და საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარ-ჩვევებს განუვითარებს.

ინგლისური ენის ლექსიკოლოგია/ A course in English Lexicology –

სალექციო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ინგლისური ენის ლექსიკური სისტემის შესწავლა როგორც სინქრონული, ისე დიაქრონული კუთხიდან. შესაბამისად, სტუდენტი შეისწავლის ინგლისური სიტყვების მნიშვნელობებს, მათ სტილისტურ დახასიათებას, ინგლისური ენის ლექსიკური სისტემის განახლებისა და მისი არქაიზაციის პროცესების ანალიზს; ასევე, განხილული იქნება ლექსიკური მნიშვნელობის კვლევის ლინგვისტური მეთოდები. სტუდენტები შეისწავლიან ინგლისური ენის ლექსიკას არა როგორც სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შემდგარ ქაოტურ ჯგუფს, არამედ როგორც ურთიერთდამოკიდებული ელემენტების სისტემას.

ინგლისური ენის ისტორია

The History of the English Language

სტუდენტები შეისწავლიან ინგლისური ენის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მისი ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების ევოლუციას, ლექსიკის ზრდასა და განვითარებას, ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომელთაც გავლენა მოახდინეს ინგლისური ენის სისტემების ცვლილებაზე. თეორიული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშავოს ინგლისური ენის მოვლენებზე დაკვირვების უნარ-ჩვევები, თანამედროვე და ისტორიული მოვლენების დაკავშირების, მათი მეცნიერული ახსნის და ენის თავისებურებების უფრო უკეთ ჩაწვდომის უნარი.

ინგლისური ენის სტრუქტურა

The Structure of English

სასწავლო კურსის ობიექტს წარმოადგენს ინგლისური ენის გრამატიკული წყობა. აცნობს სტუდენტებს ენის სტრუქტურა, როგორც სისტემა, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვა ენობრივ მოვლენებთან; სტუდენტებს თეორიული გრამატიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის განვითარების ძირითადი საფეხურები; ატარებს ინგლისური ენის გრამატიკული სტრუქტურის შეპირისპირებითი ანალიზი ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენასთან - ქართულთან.

ინგლისური ენის სტილისტიკა

Stylistics of the English Language

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ინგლისური ენის სტილისტიკის თეორიულ საფუძვლებს, იძენენ ფართო თეორიულ ცოდნას სტილის, როგორც მოტივირებული არჩევანის, შესახებ, სტილისა და კონტექსტის შესახებ, ტექსტისა და დისკურსის შესახებ, მნიშვნელობის პერსპექტივის, სტილისტური მარკერებისა და კონტექსტუალური მნიშვნელობის შესახებ. სამუშაო ჯგუფში განსახილველი მასალა მოიცავს ლექციაზე განხილული თეორიული

პრობლემატიკისადმი თანამედროვე მკვლევართა მიდგომების ამსახველი ინლგისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან ამონარიდებს და მათ ანალიზს.

ბრიტანეთმცოდნეობის საფუძვლები

Foundations of British Studies

კურსი სტუდენტებს აცნობს ბრიტანეთის კულტურის ძირითად და მნიშვნელოვან მომენტებს. საუბარი იქნება, ასევე, ბრიტანეთის განათლების სისტემაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, საბანკო სისტემაზე, მასმედიაზე და, საერთოდ, ბრიტანეთის დღევანდელობაზე, მის ურთიერთობაზე ევროკავშირისა და საერთო ბაზრის ქვეყნებთან.

გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები

Foundations of Germanic Philology

საუბარი კურსი სტუდენტებს აცნობს გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტურ ნიშნებს ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე და ამზადებს მათ დარგობრივი ენების ისტორიის კურსების მოსასმენად. გარდა ამისა, კურსი მისცეს სტუდენტებს ზოგად და საფუძვლიან ცოდნას ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანიკული შტოს შესახებ; ენათა ნათესაობის, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ; გერმანელი ტომებისა და მათი როლის შესახებ ევროპის ისტორიაში.

ინგლისური ენის ვარიანტები

Varieties of English

ზოგადი, ფართო ცოდნა თანამედროვე ინგლისური ენის ვარიანტებისა და სახესხვაობების შესახებ მათი გავრცელების არეალის შესახებ; მათი ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის ზოგადი განსხვავებების შესახებ.

ინგლისური ენის ლექსიკოგრაფიის საფუძვლები

Foundations of Lexicography

სტუდენტებს აცნობს ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიას, ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის განვითარებას და ძირითად ეტაპებს; ლექსიკოგრაფიის ძირითად მიმართულებებს. განხილული იქნება თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და მისი ისტორია; ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები; ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია. სტუდენტები გაეცნობიან ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებს: ოქსფორდის ოცტომეულ ლექსიკონს, ვებსტერის დიდ ლექსიკონს, ახალი თაობის სასწავლო ლექსიკონებს, ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას.

საჯარო მეტყველება

Public Speaking Skills

სტუდენტებისათვის საჯარო მეტყველების განსხვავებული სტილის თდგორიული საფუძვლების სწავლება და პრაქტიკული დემონსტრაცია

ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირება

Course in Reviewing of the English Text

კურსი მსმენელებს აცნობს მეცნიერული სტატიის სტრუქტურას: რეზიუმეს, რეფერატს, აბსტრაქტს, ანოტაციას, ძირითადი სიტყვებს, ტრანსლაციას, რეზიუმეების, რეფერატის შედგენასა და თარგმნას ინგლისურად.

სემიოტიკის თეორიები (ბრიტანული და ამერიკული ლინგვისტური კვლევების სემიოტიკური ასპექტები)

The Theory of Semiotics (Semiotic Aspects of British and American research experience)

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სემიოტიკის მთავარ პრობლემას – ნიშნების თეორიას, რომელიც ბოლო საუკუნის განმავლობაში გახდა ინტერდისციპლინარული სფერო. სემიოტიკის ცნებებისა და თეორიების ცოდნა ხელს შეუწყობს კვალიფიციური ლინგვისტის ჩამოყალიბებას. განიხილება ნიშნის თეორიის ევოლუცია დაწყებული ანტიკური სამყაროდან საკითხისადმი თანამედროვე მიდგომებამდე პოსტ-სემიოტიკური თეორიების ჩათვლით; ასევე მის კავშირს სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან; სემიოტიკის ისტორია კრიტიკულ პლანში და ამ სფეროში არსებულ დღესდღეობით ჯერ კიდევ საკამათო საკითხებს.

სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა

The Theory and Practice of Simultaneous and Consecutive Translation

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს უყალიბდებათ პროფესიული მთარგმნელობითი კომპეტენცია, რათა ზეპირი თარგმნისას შეძლონ ურთიერთგაგების დამყარება სხვადასხვა კულტურისა და ქვეყნის წარმომადგენლებთან. პროფესიული მთარგმნელობითი (თარჯიმნის) უნარ-ჩვევების გასავითარებლად სტუდენტმა უნდა შეიძინოს შემდეგი კომპეტენციები: ინტერკულტურულ-კომუნიკაციური; ზოგად-პროფესიული, სოციალურ-პიროვნული.

ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა

Theoretical Phonetics of the English Language

სალექციო აძლევს სტუდენტებს ფართო თეორიულ ცოდნას იმის შესახებ, რომ ბგერითი ენა ნიშნადი ელემენტების კანონზომიერ მოწესრიგებულ ფენომენს წარმოადგენს. იგი მსმენელებს დაეხმარება ჩასწვდნენ ენის იერარქიულ სტრუქტურას, რომელსაც ენობრივი დონეები წარმოაჩენენ; დაინახონ, რომ ენა, მიუხედავად მისი იერარქიული სტრუქტურისა ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს. მოცემული კურსი შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპებზეა აგებული, რომელიც საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ორი არამონათესავე ენის თავისებურებები უფრო მკვეთრად იქნას წარმოდგენილი.